№ 8
იანვრის 11, შაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 8
იანვრის 11, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ** თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
**ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
**აჭოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ზესტაფონში** (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
**საჩხერეში.** პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**ფასი გაზეთისა** 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---


## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად**
### კაბა-ანაფორა
**და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

---

**ქუთაისის სახაზინო პალატის გამგეობისაგან.**

ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ვაცხადებ, რომ:

ვინც იპოვის ფოთის ხაზინიდან 20 დეკემბერს, 1902 წელს, ავაზაკთაგან გატაცებულს ფულს, იმას მიეცემა **ჯილდოდ** 10% იმ ფულისა, რასაც იპოვის, ე. ი. 10 მან. ყოველ 100 მანეთზედ.
(3—6—1)

---

**ექიმი ალ. მაღალაშვილი**
მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. (წლ.

---

**კბილის ექიმი**
**ივანე პავლეს ძე**
### ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

---

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**
### სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

---

**ექიმი**
**ვ. ი. ი ნ ა შ ვ ი ლ ი**

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6.
(10—2—6)

---

**ე ქ ი მ ი**
### ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

---

### პირველი კერძო სამკურნალო
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
**ნ. ს. ლუბეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.
**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

---

### ტფილისის კერძო სამკურნალო
**ბედევანიშვილისა**
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
**ტელეფონი № 274.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.
**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
**ქამოევი.**—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
**დ. ა. ბედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
**ა. ზ. ბარხუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
**ბრ. ვ. ხობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)


---

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა გუშინ, რომ წერილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისა დაწერილია რუსულად და სათაურად აქვს: **Какъ улучшить закавказскую народную школу.**

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „ჰანგები“, ლექსები მელიტონ გობეჩიასი (1899—1901), გამოცემული ვ. გადელიასი. წიგნში სულ 72 გვერდია და ჰღირს 10 კაპ.

✦ ამ დღეებში დაიბეჭდება „საეკკლესიო საბუთები“, თხზ. თ. ჟორდანიასი.

✦ რუსეთიდან გვწერენ დეპეშით, რომ იქაურ თავად-აზნაურობას გადაუხდია პანაშვიდი ტფილისში გარდაცვალებულის თ. ბიძინა ოთარის ძის ჩოლოყაშვილის სულის მოსახსენებლად.

✦ ამ ჟამად ქალაქის გამგეობას დიდძალი ხალხი აწუდება. ყველანი ელიან პასუხს მირთმეულ თხოვნებისას, მომეტებული მთხოვნელი-კი ღარიბი სახლის პატრონები არიან, რომელნიც დასაფასებელ გარდასახადიდგან განთავისუფლებას ითხოვენ; ამნაირი თხოვნა, როგორც ყოველდღიურ წიგნებიდგან სჩანს, ამ ჟამად გამგეობაში ორასამდეა. ამათი დაკმაყოფილება-კი შეუძლებელია, რადგანაც ძველ კომისიას ვადა გაუვიდა და ამ საქმეების განხილვაში აღარ იღებს მონაწილეობას, ახალი კომისია კიდევ მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია, რომ მან მაინც განიხილოს ეს თხოვნები.

✦ ქალაქის საამშენებლო განყოფილება ამ ჟამად ადგენს რეპრას (კოპიოს) ვერის უმთავრეს პლანის მიხედვით. რეპრაზედ აღნიშნული იქნება ვერის უმთავრესი წერტილები. ამ რეპრით შეიძლება, იმ შემთხვევაში რომ ამ ნაწილის პლანი ან დაიკარგოს, ან დაიწვას, უმთავრესის პლანის აღდგენა.

✦ ტფილისის სასანიტარო საექიმო ინსპექტორის განკარგულებით, ტფილისის საყასბოს ადმინისტრაციამ წარმოუდგინა ის ბარათები, რომელიც ეძლევათ მეყასბეებს, რომელთაც მიუდით საყასბოებში საქონელი დასახოცად; ადმინისტრაციამ ჯერ-ჯერობით სამის თვის კვიტანციები წარმოუდგინა ოკდომბრისა, ნოემბრისა და დეკემბრისა.

✦ დღეს, 8 საათზედ, დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო სამრეწველო საჭირო.ებათა კომიტეტის წევრთა კრება.

✦ როგორც ამას წინად გვქონდა კიდეც მოხსენებული, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების მიერ საგანგებოდ ამორჩეული კომისია შეუდგა იმ პროექტის შედგენას, თუ როგორ შეიძლება უკეთ მოეწყოს სოფლებში მკურნალობის საქმე მდაბიო ხალხისათვის; ამ ჟამად კომისიას უკვე დაუსრულებია მუშაობა და წარუდგენია საექიმო საზოგადოებისათვის განსახილველად; როგორც ამ მოხსენებიდგან სჩანს, კომისიას, ხალხის ჯანმრთელობის უკეთ მოსაწყობად, ორი საშუალება დაუსახელებია: 1) გამრავლდეს სოფლად საავადმყოფოები, საწოლ განყოფილებით, სადაც შეეძლოთ მცხოვრებლებს მიეცეთ ყოველ-დღიური საექიმო შველა—რჩევა; ამასთანავე გამრავლდეს სოფლად ექიმები და ფერშლები; პროექტის ძალით, ყოველ ამის დასაკმაყოფილებლად იკმარებს 840,000 მანეთი, რომელიც გადადებულ უნდა იქმნას ყოველ წლიურ საერო ხარჯის გარდასახადის შემოსავლიდგან; თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მაშინ თვით მცხოვრებლებმა უნდა იკისრონ ეს გარდასახადი და ამ ფულით დაარსდეს საექიმო ქსენონები იმ ტიპისა, როგორისაც ამ უკანასკნელ დროს გაიმართა ტფილისის გუბერნიაში.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის ხარჯის გამნაწილებელ კომისიის წევრები და მათი კანდიდატები.

✦ 14 იანვარს დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს სულთან-კრიმ-გირეისა და ან. ნატროშვილის მოხსენებანი.

✦ 27 იანვარს დანიშნულია წლიური საზოგადო კრება სასამართლო უწყების საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების 1902 წლის ანგარიში, აირჩიოს სამი წევრი გამგეობისა და გადასინჯოს საზოგადოების სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეები.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილებამ ტფილისის მაზრის უფროსს გაუგზავნა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების მიერ გამოცემული სამკურნალო ფურცლები. მაზრის უფროსმა ფურცლები უნდა დაურიგოს ხალხს უფასოდ.

✦ 20 იანვარს დანიშნულია კრება „ტფილისის კრუჟოკის“ წევრთა. კრებამ უნდა გაარჩიოს ამას წინად მომხდარი ინციდენტი „კრუჟოკში“.

✦ ბ-ნი ევტ. მამინაიშვილი დაინიშნა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად.

✦ 8 იანვარს შეერთებული კრება ჰქონდათ ქალაქის გამგეობას, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას და ხმოსან იურისტებს. კრებას უნდა გამოერკვია, რამდენად კანონიერია არსებობა სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტისა და, სამოსწავლო ოლქის უფროსის წინადადებისამებრ, უნდა გადაკეთდეს თუ არა კომიტეტი აღმასრულებელ კომისიად. შეერთებულმა სხდომამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, წარუდგინოს საბჭოს განსახილველად ზემოდ აღნიშნული საკითხები.

✦ 8 იანვარს ი. ს. ალხაზიშვილის თავჯდომარეობით კრება ჰქონდა კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობას. კრებაზედ აირჩიეს თანამდებობის კაცნი. გამგეობის თავჯდომარედ აირჩიეს პროვიზორი ი. ი. იაკუბოვიჩი, თავჯდომარის ამხანაგად—ფ. კ. ოტენი, გამგეობის წევრებად: ი. დ. კუტუისი, არ. გ. პოტკოვი და ფ. კ. გეინი, მდივნად—ა. ა. ინცენბერგი, ხაზინადრად—ე. რ. ზემელი წიგნთ-საცავის გამგედ—მ. ი. არაზოვი, ბიუროს გამგედ—ვ. კ. პრეისბურგი, სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: კ. ს. სარქისოვი და ვ. კ. პრეისბურგი.

✦ ხუთშაბათს, 2 იანვარს, ტფილისის კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს ეკკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში ამავ სკოლის მოსწავლე ბავშვთათვის გაიმართა „შობის ხე“, რომელსაც მოსწავლეთა მშობლები დაესწრენ. ბავშვთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

✦ პოეტი გრიგოლ აბაშიძე, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ჟამად წევს პეტერბურგის ერთ-ერთ საავადმყოფოში და უნუგეშო მდგომარეობაშია თურმე.

✦ პარასკევს, 3 იანვარს, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სასწავლებლის გამგეობამ მოსწავლეთ „შობის ხე“ გაუმართა. საღამოს შვიდს საათზედ სასწავლებელში მიბრძანდნენ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი და ეპისკოპოსი ბენიამინე. დღესასწაულზედ მიწვეულ იქმნენ, სხვათა შორის, სემინარიის გამგეობა და მოსწავლენი. ამ საღამოს მოსწავლეთ ძალიან ისიამოვნეს.., მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ალექსიმ მოსწავლენი ფულით დაასაჩუქრა... ხალხი ღამის 12 საათზედ დაიშალა.

✦ 13 იანვარს დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება, რომელსაც დიდძალი საყურადღებო საქმეები წარედგინება განსახილველად.

✦ როგორც შევიტყეთ, კავკასიის საბებიო ინსტიტუტის ადმინისტრაციას განუზრახავს უკეთ მოაწყოს ინსტიტუტში მყოფ ბავშვთა მდგომარეობა. ადმინისტრაცია ამ საგნის შესახებ უკვე შეუდგა პროექტის შედგენას.

✦ ტფილისში სიცივეები დაიჭირა და ერთიან აივსო ხალხით ქალაქის თავ-შესაფარნი. თავ-შესაფარებში ჰნახავთ ინტელიგენტებსაც და მთელს ოჯახობათ, რომელთაც ტანისამოსიც-კი არა აქვთ, რომ გარედ გამოვიდნენ და მუშაობით ირჩინონ თავი... მეორე ღამის თავ-შესაფარი ისეა ამ ჟამად გავსილი ხალხით, რომ ერთი მეტი კაციც აღარ დაეტევა.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყება შეუდგა დაწყვეტილ სატელეფონო მავთულების გაბმას, მაგრამ რადგან საქმე ასე ჩქარა არ კეთდება, ამიტომ ⅔ ქალაქისა მოკლებულია და სამ-ოთხ დღემდე კიდევ მოკლებული იქნება ტელეფონს.

✦ 9 იანვარს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა და მშვენივრად ჩაიარა. ქართულად წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის პიესა „ჭკუისა მჭირს“.

✦ როგორც გვატყობინებენ, დუშეთის მაზრაში გაჩენილს ჭირს ცოტათი უკლია, რადგან მთავრობას დიდი ღონის-ძიება მიუღია ჭირის წინააღმდეგ... როგორც გვითხრეს, სრულიად მოსპობა ჭირისა ერთ თვეზედ ადრე მოსალოდნელი არ არის.

✦ ამ ორ კვირაში ათ სახლს მაინც წაეკიდა ცეცხლი ტფილისის სხვა-და-სხვა ადგილას.. ზარალი ძალზე დიდია, არა ნაკლები 10,000 მანეთისა..

✦ ქნ. მაკ. ამირეჯიბისა და ნ. დ. მაჭარაშვი-

...ისა გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში იმ საქველმოქმედო საღამოსი, რომელიც 22 დეკემბერს, 1902 წ. გამართა გორში გორის ანასტასიას დედათა პროგიმნაზიისა და სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 246 მ., პრემიები—75 მ. 30 კ., ბუფეტიდგან—194 მ. 90 კ., სულ 516 მ. 20 კ. დაიხარჯა ბუფეტზედ, განათებაზედ, მუსიკანტების მოწვევაზედ, მუშებზედ და მოსამსახურეებზედ—126 მ. 70 კ., მარკებზედ—17 მ. 50 კ., სულ 146 მ. 20 კ. წმინდა მოგებიდგან ერთი ნახევარი—186 მ. გადაეცა პროგიმნაზიის უფროსს ქალს, მეორე სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს.

აი გვარები, ვინც პრემიები მოიტანეს: ქნ. ა. ა. ამილახორისა—7 მ. ქნ. ნ. ა. ხერხეულიძისა—23 მ. 50 კ., ქნ. ჩაჩუა—2 მ., ვ. ა. მირთობისა—2 მ., ნ. ვ. პავლენკოვისა, თ. ნ. ა. თუმანოვი—2 მ., თ. გ. ი. თარხან-მოურავიშვილი—2 მ., ნ. ა. ტარსაიძე—2 მ., თ. გ. ო. ამილახორი, თ. რ. ს. ამირეჯიბი—2 მ. და სხვათაგან წვრილ-წვრილად 26 მ. და ათი მაური.

საღამოს მეთაურნი გულითად მადლობას უძღვნიან საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეთ: თ. ნ. ვ. ჩიხუას, ნ. გ. ავერკიევისას, ე. კ. ივანოვისას, პ. ი. კლიმოვისას, ნ. ი. ტიაპცოვისას, თავ. კ. ჯავახიშვილს, კ. ბ. გარაყანიძეს, თავ. ს. რ. ვაჩნაძეს, ს. პ. გოგლაჩიძეს, ფ. გ. ემახულს, თავ. ა. გ. მაყაშვილს, გ. ი. ავერკიევს, პ. პ. სიახოჟენსკის, პ. ა. მანოვსკის, თავ. დ. ი. ბარათაშვილს, ა. ა. გენიჩს, ე. ვ. მასლოვსკის, ა. მ. მიხელსონს, თავ. ი. აბაშიძეს, ვ. ი. დანილოვს, გ. კოლესნიკოვს, გ. სმირნოვს, ნ. ი. გაულონკინს, ა. ნ. რაზუმოვსკის და საერთოდ ყველა ორკესტრსა და მომღერალ გუნდში მონაწილეობის მიმღებთ. მათთან ერთად მადლობას უძღვნიან კიდევ: გ. ბ. შიხინოვისას, ა. ო. ქიმმიძოვს, გ. ო. გვახარიას, ა. კ. ოჯანეზოვს, თავ. ი. ა. თუმანოვს, ა. ტ. კოზირაოვს და კადაჯაევს; პოლკოვნიკს რ. გ. ჩიკვაიძეს მუსიკის დათმობისათვის, კლუბის მამასახლისებს შენობის უსასყიდლოდ დათმობისათვის, საღამოზედ დამსწრეთ და მის ხელის მომმართავებს.

◆ როგორც განჯიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, იქ 5 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მიწის ძვრა ყოფილა. სახლების კედლები ბევრგან დამსკდარა.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

8 იანვარი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

კრება დაიწყო დილის 11 საათზე. თავმჯდომარემ განაცხადა,—ჯერ, როგორც მიღებულია, გუშინდელი კრების ოქმი მოვისმინოთ, შევავსოთ, თუ რამე აკლია, და შემდეგ მორიგ საქმეებს შევუდგეთო.

ბ. ი. კაკაბაძემ მიმართა თავმჯდომარეს,—წარსულ კრებაზედ ჩვენ დავადგინეთ შუამდგომლობა აღგვეძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა მრეწველთა საზოგადო კრებაზედ ქართულს ენასაც ჰქონოდა ადგილი, ვინაიდგან მრეწველთა ერთ ნაწილს სრულიად არ ესმის რუსულიო. თავმჯდომარემ უპასუხა,—მინისტრმა უარ-ჰყო ეგ შუამდგომლობაო. ბ. კაკაბაძე თხოულობს, რომ კრებამ კიდევ განიმეოროს შუამდგომლობა.

თავ. ი. აბაშიძემ განაცხადა,—მართალია, ბ. მინისტრმა უარ-ჰყო ჩვენი შუამდგომლობა კრებაზედ ქართულ ენის ხმარების შესახებ, მაგრამ ამით არ უნდა გადაგვიწყდეს იმედი; კიდევ გვაქვს სალსარი,—მივმართოთ უქვეშევრდომილესის თხოვნით, რომ ქართულ ენაზედაც შეიძლებოდეს კამათი, თორემ ბევრი ისეთი გვყავს, რომელთაც სრულიად არა ესმით რა დღევანდელის მსჯელობისა. ვსასოებთ, რომ უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩვენს ბუნებრივსა და კანონიერს მოთხოვნილებასაო.

მდივანი ოქმის კითხვას შეუდგა, რომელმაც ნახევარი საათს გასტანა. საზოგადოდ ყველამ მოიწონა ოქმი.

ბ-ნმა ემერიკმა განაცხადა,—ოქმი დიალ ჩინებულად არის შედგენილი, მხოლოდ ცოტა რამაა გამოტოვებული ჩემს შესახებ და გთხოვთ, ჩაუმატოთო; მაგ., მე არ მითქვამს,—სიების დამტკიცების დროს კრებას არ დავესწრებივარო, არამედ ვსთქვი, რომ სიების დამტკიცებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რომ თქვენ მაგაზე არ გეთქვათ უარი, განა მოწმების დასახელება დამჭირდებოდა სიმართლის აღსადგენად. რაღად დაგვაკარგვინეთ გუშინ ტყუილ-უბრალოდ იმდენი დრო? გარდა ამისა,—მიჰმართა მდივანს,—გთხოვთ შეიტანოთ ოქმში ბ-ნ ემირიკის მიერ ჩემდა მომართული სიტყვები—ყალბ საბუთების მკეთებელი ხარო.

ექიმი ჭიჭინაძე. გთხოვთ ბ-ნო თავმჯდომარე, ოქმში შეიტანოთ, რომ გუშინდელ კრებაზედ ბ. ზდანოვიჩმა ბ. ემერიკს მიაძახა,—თქვენ იმ მდგომარეობაში ხართ, როცა ადამიანს არა მოეთხოვება-რაო (въ состоянiи невмѣняемости).

ბ-ნი ზდანოვიჩი. არა, ეგ არ მითქვამს; მე ვსთქვი,—ბ-ნი ემერიკი თავს ვეღარ იკავებსთქო (теряетъ самообладанiе).

ექ. ჭიჭინაძე. თქვენა სთქვით,—ემერიკს არა მოეთხოვება-რაო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. თქვენ სტყუით.

ბ-ნი ჭიჭინაძე. (აღელვებული) თქვენ თითონ სტყუით, საზიზღარო!

საზოგადოებაში საშინელი ხმაურობა ასტყდა; ვიღაცმა ყვირილი ექიმ ჭიჭინაძის მიმართ: „თვით საზიზღარო, სალახანავ, ქუჩის ბიჭო, დაგვეკარგე აქედგან, შე საძაგელო!“

თავმჯდომარე ამშვიდებს საზოგადოებას და აგონებს დამსწრეთ,—პირადობას ნუ ეხებით და წესიერებას ნუ არღვევთო.

ბ-ნმა ზდანოვიჩმა ბოდიში მოითხოვა კრების წინაშე,—სრულიად უნებლიედ წამომცდა სიტყვაო; მხოლოდ ექ. ჭიჭინაძის წინაშე არც-კი ვფიქრობ ბოდიში მოვიხადო, რადგან სავსებით დაიმსახურა ის, რაც ვუთხარიო.

ექ. ჭიჭინაძე. დუქნისა და სამიკიტნოს სიტყვა-პასუხს ადარებს ბ-ნ ზდანოვიჩის სიტყვებს და დასძენს,—უკეთესს ჩვენ არას მოველოდითო.

თავ. ა. ნიჟარაძე მიჰმართავს თავმჯდომარეს,—გთხოვთ ნებას ნუ აძლევთ ზოგიერთებს ჩვეულებრივ ქუჩურ ლანძღვა-გინებისას; აუკრძალეთ მათ ეს ბინძური ლაპარაკიო.

მცირეოდენ ჩოჩქოლის შემდეგ ისევ ოქმს შეეხნენ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მართალია, გუშინაც სავსებით გამოირკვა ყოველივე, მაგრამ დღეს იმ კრების ოქმიც ხელთა მაქვს, საიდანაც ცხადად სჩანს, რომ კრების საბჭოს ყველა წევრები დაესწრნენ, რასაკვირველია, თვით ბ-ნი ემერიკიც, მოიწონეს და ერთხმად დაამტკიცეს; ამასთანავე ოქმზედ ხელი უწერია ბ-ნ გამყრელიძეს, რომელსაც გუშინ არ ახსოვდა,—დაესწრო, თუ არა, ზემოხსენებულ კრებას. იქნებ ეხლა მაინც მოიგონოთ, ბ-ნო გამყრელიძე, ის საღამო? ყოველივე ამის შემდეგ ბ-ნი ემერიკი ქორქაშვილის გამო კიდევ მე მდებს ბრალსა და ყალბ საბუთების შემდგენელს მიწოდებს.

ბ-ნი ემერიკი. მე მხოლოდ გარწმუნებდით, რომ არ დამიმტკიცებია სია და ამან გამოიწვია უსიამოვნობა.

ვიღაც შეეკითხა თავმჯდომარეს (ვგონებთ, ექ. ჭიჭინაძე),—მაშ, როგორ მოხდა, რომ ბ-ნ ქორქაშვილს ამ ორ უკანასკნელ წლის განძავლობაში ერთი ფუთი ქვაც-კი არ დაუმზადებია, დღეს-კი ხმა აქვს?

ბ-ნი ზდანოვიჩი. ზოგიერთები იმასა გვთხოვენ, რაც ჩვენს ხელთ არ არის და სრულიად არ გვეკითხება. მაგ. ბრძანებენ, ბ-ნ ქორქაშვილს არცა ჰქონია და არც გაუყიდნია ქვაო; მაშ რად მოგვცა ცნობა სამთა-მადნო გამგეობის ინჟენერმა ბ-ნმა მარკოვსკიმ, ქორქაშვილს ამდენი და ამდენი ქვა აქვსო? გთხოვთ შეეკითხოთ,—აქვე ბრძანდებიან სამთამადნო გამგეობის უფროსი ბ-ნი ცეიტლინი და მისი თანაშემწე ბ-ნი მარკოვსკი, რომელიც აწვდის საბჭოს ზემოხსენებულ ცნობებს.

ბ-ნი მარკოვსკი. გუშინაც მოგახსენეთ, რომ ჩვენს ცნობებში მოთავსებულია არა მარტო შემუშავებულ ან გაზიდულ ქვის რაოდენობა, არამედ ნაყიდისაც. გარდა ამისა, ბ-ნი ქორქაშვილი გასულ არა ჩვეულებრივ კრებაზედაც იღებდა მონაწილეობას. მაშასადამე, კანონიერი უფლება ჰქონდა; ეს ყველასათვის ცხადია; სწორედ ვკვირვობ, რომ დღეს კიდევ ამაზედა გვაქვს ცილობა. ბ-ნ ვ. ქორქაშვილს თვით მივეცი მოწმობა—ამდენი და ამდენი ქვა აქვსთქო, და ის ცნობა გადაეცა საბჭოს.

ასტყდა კიდევ ხმაურობა, ერთმანერთთან გამოლაპარაკება.

ბ-ნი ნიჟარაძე. ბ-ნო თავმჯდომარე, დააწყნარეთ საზოგადოება, ამგვარ უთავბოლო ლაპარაკით არა გამოვა-რა. ყოველსავეს კრება განიხილავს და გადასწყვეტს.

ბ-ნი ი. კაკაბაძე. გააჩუმეთ ბ-ნი ნიჟარაძე, თორემ მეც დავიწყებ ლაპარაკს.

ოქმი დამტკიცებულ იქნა.

კრება შეუდგა პროგრამის მე-5 §-ის განხილვას (სოფ. ჭიათურის „პოსადად“ გადაკეთებისა და მარტივ თვით-მმართველობის შემოღების საკითხი). თავმჯდომარემ განაცხადა,—ჭიათურის პოსადად გადაკეთებაზედ უარი გვითხრა მთავრობამ და ეხლა მოვილაპარაკოთ, რა ღონის ძიებას მივმართოთ, როგორ მოვაწყოთ საქმე, რომ მთავრობამ დააკმაყოფილოს ჩვენი შუამდგომლობაო. ყველამ კარგად უწყის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექმნება, რომ ჭიათურა პოსადად გადაკეთდესო.

კამათის დროს გამოირკვა, რომ საკუთრად სოფელი ჭიათურა და ის, რასაც დღეს ჭიათურას უწოდებენ,—სულ სხვა-და სხვა ყოფილა. ეხლანდელი ჭიათურა სოფ. ჭიათურას გარეშე ყოფილა. ამ ახალს ჭიათურას, არ იცის, რა უწოდოს კაცმა, იმისათვის, რომ ახალმა და ძველმა ჭიათურამ ერთად ითხოვოს პოსადად გადაკეთება, საჭიროა უეჭველად ყველა მოსახლემ ერთხმად ითხოვოს,—ჩვენი სოფელი პოსადად გადააკეთეთო და პოსადის მცხოვრებთა მოვალეობაც იკისრონ. ესაა მიზეზი, რომ ძველი და ახალი ჭიათურა ვერ შეთანხმებულა: ახალ ჭიათურის მცხოვრებთათვის, როგორც ვაჭარ-მრეწველთათვის, რასაკვირველია, უფრო ხელ-საყრელია „პოსადი“, მხოლოდ ძველ ჭიათურის მკვიდრნი სოფლელნი ჰშიშობენ,—გადასახადები დაგვაწვებაო და ამიტომ ჯანჯლობენ თურმე. ხანგრძლივის კამათის შემდეგ იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ეთხოვოს გუბერნატორს, რათა ძველ ჭიათურის სოფელს გარეშე მცხოვრებნი ცალკე მოსახლეებად იცნოს მთავრობამ, და მაშინ მცირე ხმის უმეტესობითაც ნება ექნებათ გამოითხოვონ, მათს სამფლობელოს პოსადი ეწოდოს და შესაფერისი თვით-მმართველობაც მიენიჭოს.

ბბ-ნნი ჭიჭინაძე და კაკაბაძე იმ აზრისანი იყვნენ, რომ, სოფელ ჭიათურის მკვიდრთა სურვილის გარეშე, ასეთ შუამდგომლობის აღძვრა უსამართლობა იქნებაო, ვინაიდგან ამ ცვლილებას გადასახადების სუნი უდისო (კაკაბაძე);—მაგრამ სასიამოვნო სუნიო,—დასძინა ბ-ნმა ზდანოვიჩმა. სწორედ მაკვირვებსო—განაგრძო ბ-ნმა ზდანოვიჩმა,—რომ ასეთი შეუსაბამო, ახირებული აზრი მოჰყავს იმ კაცს, რომელიც გაზეთშიაც-კი ღებულობდა მონაწილეობას, თუმცა „კვალში“-ო. ქანდარაზე გაისმა ხმები: „ეგეები არ იყოს, „კვალს“ ნუ ეხებით, თუ შეიძლებოდეს!“

კრება ნახევარ საათით შესწყდა.

კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა,—მე-6 §-ი პროგრამისა (ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების დაარსება) უკვე ნება-დართულია უმაღლეს მთავრობის მიერ, და, ვგონებ, საჭირო არაა ამის შესახებ კიდევ გავაგრძელოთ სიტყვაო. მხოლოდ ბ-ნმა ზდანოვიჩმა განმარტა, თუ რა მიზეზით არ გაიხსნა ჯერჯერობით სასამართლოს განყოფილება. როგორც აღმოჩნდა, საბჭოს ყოველნაირად ხელი შეუწყვია ამ საქმისათვის, რომელიც ახლო მომავალში კიდეც განხორციელდება.

შემდეგ ამისა, შეუდგნენ § 9. (ჭიათურაში ხაზინის განყოფილების დაარსებას) ბ-ნმა ზდანოვიჩმა მოახსენა კრებას, თუ რა მიზეზით არ იქმნა შეწყნარებული საბჭოს შუამდგომლობა ჭიათურაში ხაზინის განყოფილების გახსნის შესახებ. ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი წინააღმდეგი ყოფილა, რომ ყვირილის განყოფილება, როგორც მრეწველნი ვარაუდობდნენ, გადაეტანათ ჭიათურაში, რადგან ჭიათურა უმთავრესად ფულის გაგზავნ-გამოსაგზავნად ჰსაჭიროებს ხაზინასო. სრულიად ახალ განყოფილების დაარსება-კი არა ნაკლებ 9,500 მანეთისა დაჯდება წლიურადაო. იმიტომ ჯერ-ჯერობით თქვენთვის საუმჯობესოდ მიმაჩნია ჭიათურის საფოსტო განყოფილებისათვის გამოითხოვოთ ნება-რთვა ყოველნაირ თანხის გადატან-გადმოტანისა და რამოდენიმე მაინც დააკმაყოფილებს თქვენს დღევანდელს მოთხოვნილებასაო.

უნდოდათ შეს[illegible] ქვის მადნის [illegible] ქარხნის-მოწყობის საკით[illegible] მაგრამ [illegible] სენება და [illegible]. ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია იმან, რომ საჭიროა ასეთი საგნები ჯერ განსაკუთრებულმა კომისიებმა შეიმუშაონ და შემდეგ წარუდგინონ საზოგადო კრებასაო. თითქმის ყველანი დაჰყაბულდნენ ამ აზრს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, თუ რა სახის კომისიები უნდა აერჩიათ. ზოგნი ამბობდნენ,—თითო საკითხისათვის თითო კაცი აგვირჩიოთ თამჯდომარეთ, რომელსაც ნება ექნება, ვინც უნდა, ის მიიწვიოს კომისიაში და მასთან ერთად შეიმუშაოს საგანიო. ზოგნი კი თხოულობდნენ,—უეჭველად სრული კომისიები ავირჩიოთ მცოდნე კაცთაგანაო. ზოგნი კიდევ იმ აზრისა იყვნენ, რომ უკვე შემუშავებული და დამზადებული მოხსენებანი აქვე განვიხილოთ კრებაზე, საჭირო არაა კომისიისათვის გადაცემა, მეტი დრო დაგვეკარგებაო. შემდეგ მოჰყვნენ იმ მუხლების ჩამოთვლას, რომელთა შესახებაც უნდა დაენიშნათ კომისიები.

დიდი კამათი გამოიწვია ბ-ნ ემერიკის შენიშვნამ,—საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეებისათვის სტიპენდიების დანიშვნის საქმეც ცალკე კომისიას უნდა გადაეცესო, რადგან საბჭომ, შეიძლება, თვითნებობა გამოიჩინოსო.

ბ-ნმა ზდანოვიჩმა აღნიშნა სრული უსაფუძვლობა ამ შენიშვნისა და მოითხოვა, რომ ეს გადმოკრული სიტყვა უკანვე წაეღო ბ-ნ ემერიკს. შემდეგ განმარტა, თუ რამდენად უხერხული იქნებოდა ცალკე კომისიის დანიშვნა.

ბ-ნი ემერიკი. რასაკვირველია, ბ-ნ ზდანოვიჩს, ბუნებითა და საქმით დიქტატორს არაფრად ეპიტნავება კომისიის დანიშვნაო.

კამათი გაგრძელდა, მაგრამ ეს საკითხი მაინც გადაუწყვეტელი დარჩა.

შემდეგ ცხარე კამათი გამოიწვია ½ კაპიკიანმა გადასახადმა. ბ-ნი ემერიკი ამტკიცებდა,—ისეთი დიდი გადასახადი, როგორც ჭიათურის ქვას აწევს, არსად არ ირსებობს, მაგ., ეს გადასახადი 2½ აღემატება ბაქოს ნავთის გადასახადსა და ერთი ასად სამხრეთ-რუსეთის სამთა-მადნის მრეწველთა გადასახადსაო. აი, რა მძიმე ტვირთად აწევს მრეწველთ გამგეობაო.

ბ. ზდანოვიჩი. ბ. ემერიკი მართალი იქნებოდა, რომ მხარი არ აექცია საქმის ვითარებისთვის. აბა, რა შესადარებელია ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ამხანაგობა, რომელსაც მილიონობით რჩება მოგება, და ჩვენი ხელმოკლე ამხანაგობა; ან კიდევ სამხრეთ-რუსეთის სამთა მადნო ამხანაგობა? რათ ივიწყებთ, რამდენი ხარჯები გვჭირდება გზებისა, საავადმყოფოებისა და სხ. მათ ხომ ეს არაფერი არა სჭირდებათ. თუ ყოველსავე ამას მიიღებთ სახეში, ადვილად დარწმუნდებით, რომ მეტად მცირე ხარჯებსა სწევს ჩვენი ამხანაგობა. ეს თქვენ კარგად გესმით, მაგრამ განგებ ჰბანდავთ საქმეს, რომ საზოგადოების ერთის ნაწილის გული მოიგოთ.

# ფელეტონი

## ვენახის გაშენების ამხანაგობა კახეთში

(„ნოეს ვენახი“).

ჩვენი აზრი შესახებ საამხანაგო ვენახის გაშენებისა კახეთში უკვე გამოვსთქვით წარსულ წლის გაზეთ „ივერიის“ მე-120 №-ში. როგორც მაშინ ვსთქვით, საამხანაგო ვენახის გაშენების დანიშნულება ის არის, რომ ტფილისის მცხოვრებთ ხელ-მისაწვდომათ გაუხდეთ ნამდვილ კახურ ღვინის ხმარება ოჯახში.

რაც დრო გადის, თანდათან უფრო ემატება ფასი ნამდვილს კახურს ღვინოს. ღვინის ხარჯი თითქმის აუცილებელი ხარჯია ქართველ ოჯახისათვის და ეს ხარჯი-კი, ცოტა არ იყოს, შესამჩნევად ასუსტებს ჩვენს ჯიბეს.

აი ეს ჩვენ მიერ დაწყებული ამხანაგობა ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქებს წევრთ სახლში სახმარ ღვინის ხარჯს და თან ყოველი მონაწილე დარწმუნებული იქნება, რომ ნამდვილ კახურ ღვინოს სვამს და არა ათას ნაირად ნაწამლ-ნაწვალებს.

ჩვენში, მართლა რომ საუბედუროდ, ვერც ერთმა საამხანაგო საზოგადო საქმემ ვერ მოიკიდა ფეხი და ნიადაგი ვერ გაიმაგრა. რათა? ნუ თუ ქართველები ისეთი უვარგისნი ვართ, რომ არ შეგვეძლოს შეერთებულის ძალით რაიმე სასარგებლო საზოგადო საქმე დავიწყოთ და ბოლოც გავატანოთ?!

გაზეთებში ვკითხულობთ: ამა და ამ სოფელში საამხანაგო საზოგადო დეპო არსდებაო; ცოტაც და გაზეთებშიც ერთის ამბით და წაქეზებით ეგებება ამისთანა ამბავს; მაგრამ არ გაივლის ერთი წელიწადი, და კითხულობთ გაზეთებში: ესა და ეს დეპო იხურება რადგან იზარალაო. ამას მოჰყვება ბლაჯვნა და ლანძღვა-გინება გამგეობისა და წევრთა შორის. ზოგი თავს მართლულობს, ზოგი სხვას აბრალებს, ზოგი რასა სწერს და ზოგი რასა. ბოლოს და ბოლოს მაინც ყველანი მართალნი რჩებიან და მხოლოდ ღმერთმა უწყის, ვინ არის მტყუანი.

აი ამ მაგალითების შემდეგ ისეთი დრო დაგვიდგა, ისეთი უნდობლობა ჩამოვარდა, რომ გაახსენებთ თუ არა ჩვენს ხალხში საზოგადო სავაჭრო რამ საქმის დაწყებასა, არამც თუ მხარს მოგცემენ, სათოფეთაც აღარავინ მოგეკარება. მართალნიც არიან, რადგან ბევრჯელ იწვნიეს წვენი და აღარ უნდათ შემდეგშიაც მოტყუვდნენ.

ტფილისში მხოლოდ ერთმა საზოგადო-სავაჭრო საქმემ მოიკიდა ფეხი და სასურველ ნიადაგზედ სდგას, მომავალიც ჯერ-ჯერობით კარგი აქვს. ეს საზოგადოება არის „კახეთი“, რომელიც წევრთა საკუთარ ღვინოს ჰყიდის; დანარჩენებმა-კი არამც თუ სასურველი წარმატება გამოიჩინეს, არამედ დააფრთხეს ხალხი და საზოგადო სასარგებლო საქმის სიძულვილი ჩაუნერგეს.

ამ მაგალითების მნახველებმა, ჩვენმა ვითომდა მოძმე „კულტუროსნებმა“ ღიმილით დაგვიწყეს ყურება და თანაც ანდაზა დააყოლეს: „ქართველისა გუთანი, სომხისა დუქანიო“. ასე გვიკიჟინებენ და დაგვცინიან. ეს ანდაზა უნდა გავამართლოთ და დუქან-ვაჭრობის მაგიერ „გუთანს“ მოვკიდოთ ხელი, იქნება ამაში მაინც გამოვიჩინოთ უნარი და მნო. დიალ, რომ უსათუოდ მოვკიდოთ ხელი და შესაძლოა, რომ ამას სასურველი შედეგიც მოჰყვეს.

ჩვენ მიერ შედგენილ „ნოეს ვენახის“ ამხანაგობას მაინცა და მაინც ბევრი ტარ-ჭრელი კოვზები არ უნდება, ვაჭრობასავით. ვაჭრობას სულ სხვა გამოცდილება და ხერხი უნდა. ნამდვილ ვაჭრებს რომ ვხედავთ და ვუყურებთ, რა კარგათ მიჰყავთ თავიანთი საქმე და ფულსაც იგებენ, ეგ იმიტომ, რომ პატარაობითვე შესისხლხორცებული აქვთ ვაჭრობის საქმე. ჩვენის დაბა-ქალაქების ვაჭრებმა რომ გაისქელეს ჯიბე, ეგ იმიტომ, რომ სულ სხვა ზომის არშინით ვაჭრობდნენ. იმათ მოქმედებას დრო ხელს უწყობდა, ჩვენი დაუდევრობა ფრთებს ასხამდა და ამითი წაიყვანეს თავიანთი საქმე წინ. ნამდვილი ვაჭრები თავიანთ საქმეს თვითვე ამოქმედებენ, ორის თვალის მაგიერ ოცს იბავენ, თავიანთ ხელით იღებენ და სცემენ ფულს. კარგი მოვაჭრე არამც თუ უცხო შვილს არ ჩააბარებს დახლს, არამედ თავის შვილსაც არ ენდობა ვიდრე არ დარწმუნდება, რომ თავის შვილი ივარგებს ვაჭრობაში. აი ამგვარად ვაჭრობენ წვრილმანის მოვაჭრენი.

იმისთვის არ მიდის ჩვენში საამხანაგო-სავაჭრო დეპოების საქმე კარგად, რომ ზემოხსენებულ ვითარებას მოკლებულია. საკმარისი არ არის, რომ დეპოს მმართველი სვინიდისიერი და სანდო კაცია; არა, უკანასკნელ პატარა ბალღ-მოსამსახურემდე ყველანი უნდა ხელ-მართლები იყვნენ. აბა ეხლანდელ დროში ბევრს დაგიდევს, ძალიან გული დაეწვება თავის დღეში მოსავალი არ გიღალატებს, თუ მოუვლი მამულს. განა ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენს მამულში საზოგადო ძალით ვაშენოთ ვენახები და ოქროებიც მოვიმკათ?—რატომ არა, თუ კაცი მოიგუნებებს და მოისურვებს. შეიძლება ათასი რამ დაიწყოს კაცმა და ბოლოც გაადევნოს მიწის მოსავლით.

აი ამისთანა საზოგადოება არსდება ტფილისში, რომელიც ჯერ ჯერობით პაწია ვენახს აშენებს შინ სახმარ ღვინის მოსაყვანად, ამ ვენახს სახელად ეწოდება „ნოეს ვენახი“. ამხანაგობის წესდების პროექტი უკვე შედგენილია და გადაეცა მცოდნე კაცთ შესავსებ-შესასწორებლად. მხოლოდ აქ მოკლედ მოვიყვანთ წესდების შინაარსს და ხარჯთ-აღრიცხვას. სრული წესდება და ინსტრუქციები წაკითხულ იქმნება საზოგადო პირველ კრებაზედ, რომელიც დაინიშნება ამ მოკლე ხანში, პაი ეღირება ათი თუმანი. ეს ათი თუმანი წევრმა უნდა გადიხადოს ოთხის წლის განმავლობაში წვრილ-წვრილად. ვენახი შენდება ოთხს წელიწადს, მხოლოდ მეხუთე წელიწადს მოგვცემს სრულს მოსავალს. ამხანაგობამ უნდა შეიძინოს ჯერ-ჯერობით ათი დესეტინა ცარიელი ადგილი და თუ 70 წევრი შეიკრიბა, შეიძლება დაიწყოს საქმე. ჯერ მხოლოდ გაშენდება 5 დესეტინა ვენახი თავის მარნით და ინვენტარით. აი ამ ცხრილით აღვნიშნავთ, რაში რა დაიხარჯება. როგორც ზემოდ ვსთქვით პაის ფული ათი თუმანი უნდა განაწილდეს ასე. 1903 წელს მკათავის გასვლამდე წევრმა უნდა შეიტანოს 50 მანეთი; 1904 წელს—20 მანეთი თებერვლის გასვლამდე 1905 წ.—20 მან. თებერვლის გასვლამდე;

რა საჭიროა, რომ კევით და ქინძისთავებით ვივაჭროთ, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი ისეთ მდიდარ ბუნებით არის დაჯილდოვებული, რომ იმის მოსავლით, არამც თუ შეგვიძლიან ვისარგებლოთ, არამედ შეიძლება ვაჭრობაც დავიწყოთ და მეურნეობაც გავაძლიეროთ. ის არა სჯობია რომ, სავაჭრო დეპოების გახსნის მაგიერ მოვიყვანოთ: ღვინო, თამბაქო, ხილი და სხვა ათასგვარი ნათესობა. განა საზოგადოების ძალით რომ ეს ზემოხსენებული საგნები მოვიყვანოთ და იმათივე ვაჭრობა დავიწყოთ, ნუ თუ ეს ვაჭრობა ვაჭრობად არ ჩაითვლება?! ამ საქმეში საჭირონი არიან მხოლოდ დაუღალავნი და სვინიდისიერნი მუშაკნი. განა ურიგო ვაჭრობა აქვს კახეთში საუფლისწულო მამულებს? საუფლისწულო მამული კეთდება წესიერად იხარჯება ვერცხლები და ოქროები-კი იმკება.

თვეში 6 და 7 მანეთიან მოსამსახურეს „საზოგადო საქმეზედ“. ჩვენ სავაჭრო ამხანაგობათა, დეპოთა მმართველნი კაბინეტებიდამ აძლევენ ბრძანებას თავიანთ ხელქვეითებს, ნამდვილი ვაჭრები-კი დღე და ღამ ფეხ-ჩაუკრეფელნი თვალ დაუხუჭავნი ჩასცქერიან თავიანთ დახლს და საქონელს. დეპოს და საამხანაგო წვრილმან ვაჭრობას ნოქარ-მოსამსახურებმა, რომ თითომ დღეში ჯიბით ერთი აბაზის საქონელი გაიტანოს მოპარვით ანგარიშამდე ვერაფერი მეტყობა საქონელს და ბოლოს-კი ანგარიშის დროს აღარც დახლში ფული გამოჩნდება და აღარც ყაფაზებზედ—საქონელი. აი სწორედ ამ მიზეზის და ათასი სხვა მიზეზის გამო ვერ მიდის ჩვენი საამხანაგო სავაჭრო საქმე.

ბ-ნი ემერიკი. (გაცხარებით) ბ-ნ ზდანოვიჩს სრულიად არ ესმის ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა. როდესაც კაცს ფეხთ არ აცვია, ოქროს ძეწკვ-ლილებით არ უნდა იჭრელებდეს ტანსაცმელს. არა, ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ხარჯების შემცირებას და ისედაც გაჭირვებულ მრეწველთა ტვირთის შემსუბუქებას, და არა კიდევ უფრო დამძიმებას. (ქანდარაზე ხანგრძლივი ტაშის ცემაა).

ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნი ემერიკი იმიტომ-კი არ ლაპარაკობს, რომ საქმე გამოარკვიოს, გონივრულ გზაზე დაგვაყენოს, ჭეშმარიტება დაიცვას, არამედ იმიტომ, რომ ტკბილი სიტყვით გრძნობები აგვიშალოს, ზოგიერთს გული მოუგოს. აბა, რა მოსატანია ეხლანდელი გაჭირვება მრეწველთა, განა ამასვე არ გაიძახოდა მესამე კრების დროს, მაშინ, როცა მრეწველთა მდგომარეობა სწორეთ სახარბიელო იყო?! თქვენ, ბატონო, იმისთვის მიჰმართეთ მაგ ოინებს, რომ აი იქ (უთითებს ქანდარაზე) ტაში დაგიკრან, და მხოლოდ იქიდგან ისმის კიდეც ტაშის ხმა. (ძირს დარბაზში ასტყდა ტაშის კვრა).

შეიქნა საზოგადოდ ხმაურობა. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა და იანვრის 9-სათვის გადასდო.

# ჩვენებური ამბები

**ქიზიყი.** ზოგიერთ ოჩოპინტრე თავხედ ადამიანის ავგულობა და ავსულობა იქამდის თავგასულია დღეს პროვინციაში, რომ, როდესაც გაზეთი საზოგადო ჭირ-ვარამზედ ლაპარაკობს, იმასაც-კი თავისი უგულად ცოდვილი და საზიზღარი პიროვნება ელანდება მას, რის გამოც ათასგვარის საზიზღრობით ცდილობს გაზეთს აბრუ გაუტეხოს მდაბიო ხალხის თვალში და მისთვის არა-სასიამოვნო წერილის დამწერს ათასგვარი ჩირქი მოსცხოს ცილის-წამებით. ამის დასამტკიცებლად მე მოგახსენებთ მოკლედ ისეთ ნამდვილს ამბავს, რომელიც ბევრნაირად დამაფიქრებელი და თანაც გასაოცარია თავისი ზღაპრული ხასიათით.

წარსულ წლის „ივერია“-ში (№ 221, 222) ორს ფელეტონად დაიბეჭდა ჩემი წერილი: „სოფლის ქსენონები“, რომელშიაც მოკლედ გაცნობებდი მკითხველს კერძო ქსენონების დაბადების თავდაპირველ აქაას, ამ ქსენონების ავ-კარგს მოქმედებას, მათ დღევანდელ სამწუხარო ყოფა-მდგომარეობას, ადგილობრივ საჭიროებათა მიხედულობით გასაუმჯობესებელ რეფორმის მოხდენას და ექიმსა და მდაბიო ხალხს შორის კეთილ ადამიანურ განწყობილების საჭიროებას საზოგადო საქმის სიკეთისათვის. სხვათა შორის, იმასაც ვამბობდი, რომ ამ ჟამად გერმანიის აუარებელმა ექიმებმა ერთმანერთის ჯიბრით ვიზიტი შვიდი კაპეიკი გახადეს, და ქიზიყელ კაცს-კი დღესაც 10—15 მანეთი უჯდება სიღნაღიდგან ერთი ექიმის მოწვევა, რადგანაც ამ გართმისპაპებულ ექიმებს, თუ ოთხ-ცხენიანი ეტლი არ მიართვით, ცხენით სიარულს არა კადრულობენ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქართველებსაც გვიმრავლდებიან მკურნალები და, ღვთით, საქართველოშიაც დადგება ოდესმე ის ღვთისგან კურთხეული დრო პროგრესისა, როდესაც გლეხი ათიოდე თავს ხახვს, ნიორს, ან ხუთიოდე კვერცხს მიუტანს ექიმს გასამრჯელოდ და გაუშინჯვინება-მეთქი.

ისე ძლიერად სწყენია სოფლის ერთ თავმომწონე ახალგაზრდა ექიმს ეს აზრი, რომ დღესაც ცეცხლ-ნავთსა ჰყრის პირიდგან და თვალებიდგან. „ასეთი „მავნებელი აზრების“ გაზეთში წერა ხომ ექიმების დამცირება და სახელის გატეხვაა“,— გულ-გამეხებით წამოუყვირნია ბ-ნს ექიმს, როდესაც სხვას მაუწყდია მისთვის შემთხვევით ქართული გაზეთი წასაკითხად, რადგანაც ეს მრისხანე ვაჟბატონი ქართულზედ მწირადად ბრძანდება.

ბევრი იბობოქრა გულ-გაბრაზებულმა ექიმმა და ბევრჯერაც ააბუქა გაბერილი კვეხნა-ტრაბახით: მე გაჩვენებთ თქვენ, რა მაგ-დღეს დავაყენებ გაზეთსაც და იმ წერილის ავტორსაც, ექიმების ისე „დამცირებისათვის“. გააგზავნინა ერთს რედაქციაში ნათლი-მამას ხსენებულ წერილის საწინააღმდეგო აჭია-ბაჭია, მაგრამ რედაქციამ წაკითხვის უმალვე ნაგვის კალათაში ჩაუძახა გულ-მოსულ ექიმის „ხალიქტოგკარი“ „თვალ-მარგალიტები“, რის გამოც უფრო საშინლად გარისხდა და გასაზარელდა შეხის დრუბელივით ბ-ნი ექიმი და ახლა სხვანაირი „პლანები დააწყეს“ იმან და მისმა თანამოძმე „აზბუკაძემ“ კორესპონდენტისათვის „სამარის გასათხრელად“.

აქ საჭიროა, ძალიან მოკლედ გაგაცნოთ მარტოდენ თავისი ჯიბე-გუბისათვის მხოლოდ „აზბუკაძის“ ზნეობრივი ფიზიონომიაც. წარსულ წლის დამლევს „ივერია“-ში (№ 248) ვსწერდი ქიზიყიდგან, სხვათა შორის, ამასაც: «სოფლის ზოგიერთი „აზბუკაძის“ სიმჩატე, ოჩოპინტრეობა, „სამოუსიკოთი“ სამიკიტნოში გამოთრობა, ჩხუბი, აურზაური, ცემა-ტყეპა, ხანჯლის ტრიალი, „აპლაკატობა“, მკვახეობა, იუდასებური ჯაშუშობა და სხვა ათასნაირი საზიზღარი ვერაგობაა სწორედ საარაკოდ ასაწერია, და ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, ბავშვის ასეთი თავყანისმცემელი, რაღა შვილი მასწავლებელი, ანუ, როგორც გლეხობა ამბობს „მაწვალებელი“ იქნება სალხისა, რა ჯურის ახალ-თაობას აღუზრდის იგი საბრალო სოფელს და ას რა ცოცხალი მაგალითი იქნება მეხობლებისა».

წაუკითხავს სადღაც ეს ნომერი გაზეთისა და ამ სიტყვებში თავისი თავი უცვნია ექიმის მოსარჩლე „აზბუკაძეს“, რომელიც დატრიალებულა მამინათვე ტარტაბუკას ჯარასავით. „მოდი, ისეთი „პრიგოვორი“ შევადგინოთ ქიზიყის სოფლებს და გავაგზავნოთ მთავარ-მმართებელთან, რომელიც გაზეთსაც „ვიგოვორს მისცემს“ და ქიზიყელსაც ციმბირში გადაასახლებს გაზეთში „მავნე აზრების“ წერისათვის“, ასე ითათბირეს ერთს დამეს ჩვენმა საარაკო გმირებმა სოფლის „ამქვეყნიდ“ მამასახლისთან ერთად გახარებულ ვახშამზედ და თქმა და ქნა ერთი იყო: მეორე დღესვე, ქიზიყის ერთ სოფელში, სოფლის მწერალს მაგე დაჰქონდა სამოთავან სამების ძალზედ შედგენილი „პრიგოვორი“, რომელსაც „აზბუკაძის“ ნათლიმამა-მიკიტნები დიდის სიხარულით აწერდნენ ხელს და თანაც აღფრთოვანების ნიშნის მოკვებით იძახდნენ: „ჰაი! დუდეგს თვალი! იხარე წერო, გახმი მტერო! დღიდან ის ქიზიყიდგან დაიდევნოს, რო ჩვენს გამოჩხრეკით აღარ გვატუხტუხებდეს ყველას და თუნდა ერთ კაი გამტვრიალ ძროხას მე დავკლავ საკუთარად და სადღეღამოს ვიზამო“.

დიაღ, ასეთი სიხარულის დღე გაუთენდათ სოფლიჭამია მიკიტნებს, მეწვრიმალეებს და სასაცილო „პრიგოვორის“ ავტორები ხომ სულ ანწყუხურსა თამაშობდნენ მეტი სიამოვნებით, მაგრამ, საუბედუროდ მალევე ჩაუშხამდათ ყველაფერი იმედგაცრუებულებს, როდესაც გაიგეს, რომ გლეხ-კაცობამ (წიგნიანმა, თუ უწიგნომ) ახლოც არ გაიკარა „ტუტუცების პრიგოვორი“. ეხლა-კი დარწმუნდნენ ბოლმით უურებ-ჩამოყრილი „პრიგოვორისტები“, რომ ფონს ვერ გავალთ, შევრცხვებით და თითონვე დახივეს მალვით-ფარვით თავიანთი სიბრიყვე და უმეცრება.

მართალია, მკითხველო, სამარცხვინოდ გასულელებულ თავმოყვარეობის საოცარი და სასაცილო ამბავია ეს, რომელიც მთელმა ქვემო-ქიზიყმა იცის დღეს, მაგრამ ქრისტეს დაბადების წინადვე სთქვა ბრწყინვალე რომის პოეტმა ჰორაციუსმა: „Nil admirari—ნურაფერი გაგვიკვირდებათ“, და მასვე კვერს უცემს ჩვენი დიდებული რუსთაველის უკვდავი მშვენიერებაც:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია“.

ქიზიყელი.

# კავკასია

**ბალთა** (თერგის ოლქი). სოფელი ბალთა მდებარეობს 12-ი ვერსის მანძილზედ ქალაქ კავკავიდგან. მცხოვრებთ რიცხვი აღემატება 45-ს კომლსა, მათ შორის 30 კომლი ქართველია, 5 კომლი მაჰმადიანი ოსია და 10 კომლი ქრისტიანი ოსია. მცხოვრებლები მისდევენ ხვნა-თესვას, საქონლის მოშენებას და აგრეთვე ტყის შემუშავებას; თუმცა ეს მცხოვრებნი ძალიან მოცადინენი არიან, მუშაობენ, როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში, მაგრამ, მაინც ნაწოვ-ნადაგი კრომები არც უჩანს მათ, რადგან ისინი ცხოვრობენ საბატონო მამულზე და არა სახელმწიფოზე. ბატონი მათ ძალიან სასტიკად ექცევა; ხარჯს ერთი-ორად ახდევინებს და ტყავს აძრობს იმ საბრალო მცხოვრებლებს, გარდა ამისა უარესს დღეს მათ აყრიან მეზობელი ოსები ქურდბაცაცობით და გაიძვერობით.

ა. ყამარაული.

# რუსეთი

იურიევის უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილეის გამო თავის საპატიო წევრად აირჩია მამა იოანე კრონშტადტელი, რომელსაც ეს გადაწყვეტილება დაუყონებლივ ეცნობა. მოძღვარმა უნივერსიტეტს შემოუთვალა დეპეშით: მე არ შემიძლიან ვიყო უნივერსიტეტის საპატიო წევრად, რადგან საპატიო წევრად, სხვათაშორის, ლ. ნ. ტოლსტოიც ამოგირჩევიათო...

უკეთეს ველარას იზავდა პატივცემული მოძღვარი.

— სისოფლო სამეურნეო საჭიროებათა გალიჩის,—კოსტრომის გუბერნია—სამაზრო კომიტეტში ერთ წევრს პოლოზოვს ასეთი პროექტი შეუტანია: გალიჩის მაზრაში ძალიან გახშირდა ამ ბოლოს დროს მუშა ხალხის გასვლა სხვა ადგილებში სამუშაოდ, რის გამოც დიდს გაჭირვებაში ცვივდებიან ზაფხულობით მიწად მფლობელები მუშა ხელის სიმცირის გამო, ამიტომ კარგი იქნება მიწადმფლობელთ ნება მიეცეთ რუსეთში მოიყვანონ ჩინელები, რომლებიც საქმის მოყვარენი არიანო. ამრიგად მიწადმფლობელნი თავისუფლად ამოისუნთქავენ და აღარ იქმნებიან დამოკიდებულნი მუშებისაგან; მუშა ხელი გაიაფდება და თვით მიწის წარმოებაც გაიზრდებაო. კომიტეტს დიდის თანაგრძნობით მიუღია ეს პროექტი და დაუდგენია: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ნება დართოს მიწადმფლობელთ ადგილობრივ მუშა ხალხის შესავიწროებლად მოიყვანონ ჩინელნი.

საუცხოვოა, როგორც პროექტი, აგრეთვე დადგენილება კომიტეტისა!

— პარიჟში გამოვიდა პირველი ნომერი ახლად დაარსებულ კვირეულ ჟურნალის „Revue Russe“ (რუსეთის მიმოხილვა)-ისა. ჟურნალს, როგორც შინაარსიდგან სჩანს, სერიოზული მიმართულება აქვს. ჟურნალის პეტერბურგელ კორესპონდენტად არის თავ. მეშჩერსკი, რედაქტორი „გრაჟდანინ“-ისა. ჟურნალის მეთაურ წერილიდგან სჩანს, რომ მისი დანიშნულებაა გააცნოს საზღვარ-გარეთელ მკითხველთ რუსეთის ყოფა-ცხოვრება, რომლის ამბავიც, ჟურნალის სიტყვით, საზღვარ გარეთ დამახინჯებულად აღწევს.

— მასწავლებელთა კრებამ მოსკოვში გადასწყვიტა, გააუმჯობესოს ებრაელ მასწავლებლების მდგომარეობა. კრებამ დაადგინა, სთხოვოს მთავრობას, რათა მან ხაზინიდგან მისცეს იმდენი ფული, რომ თითო მასწავლებელს წელიწადში 360 მანეთი ეძლეოდეთ ჯამაგირად.

# უცხოეთი

**შეერთებული-შტატები.** ვილიამ ჰოირსტი ჟურნალისტია. ის მეთაურობს სამს დიდს გაზეთს, რომლების სულის ჩამდგმელადაც თვითონ ითვლება. მან ახალი სული შთაბერა ჟურნალიზმს და მით ხელი შეუწყო თავიანთ გამოცემების გავრცელებასა და გაიაფებას. (ნომერი ღირს ორი კაპეიკი).

ჰოირსტის ბევრი გადაემტერა, უნდოდათ, მისი გამოცემანი ხალხში არ გავრცელებულიყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მუქთადაც არავინ ღებულობდა ჰოირსტის გაზეთებს. ჰოირსტის გაზეთის კითხვა საზოგადოებაში შეურაცხყოფად და სირცხვილად ითვლებოდა. ბევრს სწყინდა და კიდევაც უსაყვედურებდნენ ჰოირსტს, მდიდარი ოჯახის, სენატორის შვილმა, ასეთს სამარცხვინო საქმეს რისთვის მოჰკიდე ხელიო.

მაგრამ ჰოირსტი ამაებს არ შეუშინდა, მას ერთხელაც არის, არ უფიქრნია გადაეხვია არჩეულ გზიდან.

მას ხალხის, მასსის იმედი ჰქონდა და ჟურნალიზმს რადიკალური მიმართულება მისცა. მან ალღო აუღო ხალხის ლტოლვილებას და ჩქარა ნიუ-იორკის გაზეთი დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ორგანოდ გარდაიქცა და ჰოირსტიც თანდათან მეტს გავლენას ჰპოულობდა.

ჰოირსტის სამსახური იმაში გამოიხატა, რომ მან შეიგნო დროის მოთხოვნილება, რადიკალურის მიმართულების აჩქარებული ზრდა დემოკრატიული პარტიისა მან ისე გაითქვა სახელი, რომ ბოლოს დიდმა უმრავლესობამ დეპუტატად აირჩია შეერთებულ შტატების კონგრესში. დღეს-კი ზოგიერთი მუშათა გაზეთები ჰოირსტს დემოკრატიულ პარტიის კანდიდატად ასახელებენ პრეზიდენტის ადგილზედ.

ჰოირსტმა გაითქვა სახელი არა მარტო თავისი ნიჭით და სიმდიდრით, არამედ თავის რადიკალური აზრებითაც. ის იმის მეცადინეობაშია, რომ [illegible] სის ყურადღება, [illegible] შირებისა. მან, [illegible] ტარა რუზველტს [illegible] მელიც ახოულობდა კაპიტალისა და შრომის თანხმობით მოქმედების და კლასიური ანტაგონიზმის მიფუჩეჩებას. ჰოირსტმა გაილაშქრა რუზველტის პროგრამის წინააღმდეგ თავის გაზეთში „Neu-Vork Amerikan“-ში.

„არავინ არ ჰკიცხავს აქციონერულ ამხანაგობებს—სთქვა ჰოირსტმა,—ყველანი მუშათა კავშირებს უსაყვედურებენ. მუშები აქციონერულ ამხანაგობათ წინააღმდეგობას არ უცხადებენ, მაგრამ აქციონერული ამხანაგობანი მუდამ იმის ცდაში, არიან რამე ნაირად აღმოფხვრას მუშათა კავშირები. პატრონი თუ მუშა თავის ქონებას და შრომას როგორც უნდა, ისე მოიხმარსო, ამბობენ. მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ მხოლოდ სიტყვები და სხვა არაფერი. თუ დამქირავებელი თავის ქონებით ზარალს აძლევს სხვას, ნუ თუ ამ „სხვას“ არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ შეებრძოლოს თავის შემავიწროებელს?

ამბობენ: „თავისუფალ ადამიანს სრული უფლება აქვს გაჰყიდოს თავის შრომა თავისუფალ ბაზარზეო“ ამას ამბობენ ისინი, ვისაც ბევრი ფულები აქვთ და ჭკუა კი ნაკლები. თავისუფალი ბაზარი,—ეს ილიუზიაა, მოჩვენება; ნამდვილად-კი ის არ არსებობს.

სადაც მთელი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე (ქვა-ნახშირზეა ლაპარაკი) ტრესტების მონოპოლიად გამხდარა, განა აქ შესაძლებელია შრომის თავისუფალ ბაზარზე ლაპარაკი? არა, თავისუფალი ბაზარი შრომისა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ბრძოლა ლუკმა პურისათვის.

შეერთებულ შტატების პრეზიდენტის ზნეობრივს მოწოდებას მუშებისა და დამქირავებელთა მიმართ შეიძლება რამე კარგი მხარე ჰქონდეს, მაგრამ რუზველტისაგან ჩვენ უფრო მეტს მოველოდით. ჩვენ გვეგონა, რომ რუზველტი რამეს იტყოდა შრომის და კაპიტალის ურთიერთ შორის დამოკიდებულობის შესახებ და მონოპოლის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, მაგრამ მოვსტყუვდით“.

— ქვა-ნახშირი ძლიერ გაძვირებულა ნიუ-იორკში, რამაც გამოიწვია სამრეწველო და სოციალური კრიზისი. ტრესტების შესახებ საკითხი მეტად გამწვავებულა.

რადგანაც ქვა-ნახშირს ვერ შოულობენ გემები ძლიერ იგვიანებენ ნიუ-იორკიდან გასვლას; უნახშირობის გამო ზოგიერთ ადგილებში ფაბრიკები და ქარხნები დაუხურავთ. სიცივემ და თოვლმა ძლიერ შეავიწროვა მუშათა კლასის ისედაც გაჭირებული მდგომარეობა. არკოლის მცხოვრებთ მღვდლების, მასწავლებლებისა და პოლიციის მეთაურობით ძალით გაუჩერებიათ ნახშირით დატვირთული მატარებელი და ნახშირი დაუტაცნიათ; ქალაქი თურმე რამდენიმე დღე უნახშიროდ ყოფილა დარჩენილი. ამ გვარი საქმენი ხდება სხვა ქალაქებშიაც. რკინის გზის საზოგადოებათა გამგეობას გარდაუწყვეტია შეიარაღებული დარაჯე-

---

1906 წელს—10 მანეთი; მეხუთე წელიწადს ვენახი მოსავალს მისცემს.

საწევრო ფული 70 პაისა და 5 დესეტ. ვენახის გაშენებისა.

სავარაუდო ხარჯის ხარჯთ-აღრიცხვის ცხრილი: რა საგანზედ იხარჯება

1903 წ. პაის ფული შემოვა 3,500 მან.

| | მან. |
|---|---|
| საკანცელარიო ხარჯი . . | 50 |
| 10 დესეტინა მიწა თავის დამტკიცებით . . . | 1,500 |
| გამშენებელს. . . . | 100 |
| მიწის გადაბრუნება (плантажъ) | 1,000 |
| შემოღობვა, რქა ვაზისა და სხ. | 500 |
| ჯამი . . | 3,150 |

გვრჩება 350 მ.

1904 წ. პაის ფული 1400 მან.

| | |
|---|---|
| რქის ჩაყრა და შესარვა . . | 500 |
| გამშენებელს . . . . | 300 |
| გათოხნა წამლობა და სხვა ხარჯი | 150 |
| ინვენტარი. | |
| ცხენი . . . . . | 70 |
| უნაგირი. . . . . | 30 |
| პატარა გუთანი თავის მოწყობ. | 50 |
| 3 ვერმორელი . . . | 35 |
| 5 საბერველი . . . . | 10 |
| ჯამი . . | 1,165 |

წინა წლიდან გვრჩება 585 მან.

1905 წ. პაის ფული 1400 მან.

| | |
|---|---|
| გათოხნა, წამლობა და სხვა ხარჯები . . . . | 250 |
| გამშენებელს . . . . | 300 |
| ინვენტარი. | |
| ქვევრებისა და მარნის მასალის დამზადება . . . | 450 |
| ჯამი . . | 1,000 |

წინა წლებით ერთად გვრჩება 985 მან.

1906 წ. პაის ფული 700 მან.

| | |
|---|---|
| ვენახის გაკეთება . . . | 300 |
| გამშენებელს . . . . | 300 |
| ინვენტარი. | |
| მარანი და ქვევრები . . | 450 |
| ჯამი . . | 1,050 |

ამ წელს წინა წლების გადარჩენილიდამ ვავსებთ ხარჯს და გვრჩება 335 მან.

1907 წ. გვაქვს ფული 635 მან.

| | |
|---|---|
| ვენახის გაკეთება , . . | 300 |
| გამშენებელს . . . . | 300 |
| ჯამი . . | 600 |

1907 წელს პაის ფული, ვსთქვათ, აღარ შემოვიდა, მხოლოდ გვრჩება გადარჩენილი ფული, ე. ი. 635 მან. ეს ფული გააკეთებს ვენახს და გადარჩენილი 35 მანეთი მივაწეროთ მოულოდნელ ხარჯს. ამავე წელს ვენახი მისცემს ძლიერ მცირე მოსავალს, ასე რომ ეს მოსავალი გაისტუმრებს 1908 წლის ხარჯს, რომელიც დასჭირდება მოსავლამდე ე. ი. შემოდგომამდე.

როგორც ზემოდ მოყვანილ ხარჯთ-აღრიცხვის ცხრილიდამ დავინახეთ, 70 პაი რომ გაიყიდოს, გაშენდება 5 დესეტინა ვენახი, 10 დესეტინა ადგილი შეიძინება თავის მარნით და მოწყობილობით. ეს ციფრები მოგვყავს გამოცდილ კაცების ანგარიშით, რასაკვირველია, იმისთანა კაცებისა, რომელთაც გაუშენებიათ და ეხლაც აშენებენ ვენახებს. შეიძლება ზოგიერთ ციფრებში შეცდომა გვქონდეს, მაგრამ, საერთოდ რომ ავიღოთ, მეტი არ დაჯდება, თუ გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საქმეს და ინსტრუქციისამებრ მოიქცა.

ახლა ვიანგარიშოთ სავარაუდო შემოსავალი. როგორც ხარჯის აღრიცხვიდამ დავინახეთ, მეოთხე წლის მოსავალი ისევ გაშენების ხარჯს უნდება. მეხუთე წელიწადს*) ე. ი. 1902 წელს შემოდგომაზედ ვენახი მისცემს თითქმის სრულს მოსავალს. როგორც გამოცდილებით ვიცით, საუფლისწულო მამულებიდამ და ზოგიერთ წესიერ ვენახების პატრონების შემოსავლის დავთრებიდამ შიგვილია ცნობა, წესიერად გაკეთებული ვენახი იძლევა თითო დესეტინაზედ 7 საპალნიდამ (315 ვედრო. საპალნე=45 ვედრ.) ვიდრე 15 საპალნემდე (675 ვედრო). არის ისეთი წელიწადიც, რომ ერთი ორათაც მეტი მოსდით ღვინო, მაშასადამე, ზემოხსენებული ვენახების საშუალო შემოსავალი რომ ვიანგარიშოთ იქნება $(7+15):2=11$ თერთმეტი საპალნე ან 495 ვედრო. სავარაუდო შემოსავალი ავიღოთ სულ მცირე 4 საპალნე, სრული—10 საპალნე; საშუალო გამოდის 7 საპალნე (315 ვედრო) ერთ დესეტინაზე. მაშასადამე, 5 დესეტ. გამოვა $315 \times 5 = 1575$ ვედრო რაც უნდა ღვინის სიიაფე იყოს, ადგილობრივ ვედრო ეღირება არა ნაკლებ 2 მ. 40 კ. და ტფილისში უკანასკნელი მისი ფასი იქნება 4 მ. ადგილობრივ ფასად რომ ვიანგარიშოთ ეს მოსავალი, ე. ი. 2 მ. 40 კ., სულ შესდგება 3780 მან. იმისი თხლე-ჭაჭა ეღირება სულ მცირე 350 მ. საშუალო შემოსავალი გამოდის ადგილობრივ ფასით 4130 მ. მომავალი წლის ხარჯად რომ გადავდოთ 1130 მანეთი, წმინდა შემოსავალი დაგვრჩება 3,000 მან. ეს ჯამი რომ გავყოთ 75 პაიზედ (წესდების ძალით 5 პაი უსასყიდლოდ ეძლევა გამშენებელს ვენახის მოსავლის წლიდამ, რადგან წინა წლებში მცირე ჯამაგირი ეძლევა ე. ი. 300 მანეთი). თვითო პაი იღებს სარგებელს 40 მანეთს თუ ფულად მოისურვა (წესდების ძალით, პაის პატრონთ საზოგადოებამ თავის ხარჯით ტფილისამდე, რაც ერგება ღვინო, უნდა ჩამოუტანოს) და თუ ღვინოთი—15 ვედროდამ 20 ვედრომდე ნამდვილი კახური ღვინო. უფრო შევამციროთ შემოსავალი. წარმოვიდგინოთ, თვითო პაის ხვდება 10 ვედრო. სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ეღირება 40 მანეთი. რათა ღირს ტფილისის მცხოვრებთათვის, რომ წელიწადში ათი ვედრო ღვინო მიიღონ ოთხის წლის განმავლობაში გადახდილ ათ თუმანში და მამულშიაც მონაწილენი იყვნენ.

*) სამეურნეო წელიწადი ითვლება შემოდგომიდამ შემოდგომამდე ერთ წელიწადათ. ვიანგარიშებთ ხუთ წელიწადად იმიტომ, რომ 1903 წ. შემოდგომიდამ—1903 წლის შემოდგომამდე გამოდის 5 წელიწადი.

ავტ.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამხანაგობა „ნოეს ვენახი“ სარგებლობას მოუტანს, როგორც წევრებს, ისე იმ მხარეს, სადაც გაშენდება ვენახი. თუ რიგიან ნიადაგზედ დადგა და ამხანაგობის წევრთა რიცხვმა იმრავლა, მაშინ ამხანაგობას შეუძლიან დიდი ალებ-მიცემობაც დაიწყოს: ღვინით, თამბაქოთი და სხვა ნათესობის მოსავლით. ამისთანა საქმის დაწყება სულ ადვილია

ამისთანა საქმეში ძნელად რომ სიყალბემ და სიბრუდემ თავი იმალოს. ყველაფერი აშკარად გამოჩნდება, შემოსავალიც და გასავალიც. მხოლოდ ფხიზელი მუშაობაა საჭირო გამგეობის მხრივ. თუ ბუნებამაც ხელი არ შეგვიშალა და წვიმის მაგიერ ცეცხლი არ გვაყარა, მაშინ ხომ სულ უფრო უკეთ წავა საქმე. ასე თუ ისე, ბუნებაც ვერაფერს დაგვაკლებს, რადგან ვაზის ყოველ სატკივრის წინააღმდეგ ღონისძიებაა მოგონილი. ასე გასინჯეთ, სეტყვის წინააღმდეგაც-კია. მაინცა და მაინც, ისე არ გვიმტყუნებს ვენახი, რომ თავის თავი თვითვე არ ასაზრდოვოს და თავის ხარჯი არ დაჰფაროს. მაშ, მხოლოდ ისღა გვრჩენია, რომ ქართველურმა შენ-ჩემობამ თავი არ იჩინოს ამ საქმეშიაც.

ვიდრე უცხო ქვეყნელები გაიგებენ გემოს კახეთისას, რაიცა მალე იქნება, ჩვენ ადგილობრივნი მცხოვრებნი უნდა მივეშველოთ საქმეს: შევისყიდოთ საზოგადო ღონით მიწები, რომელიც ეხლა ჩალის ფასად იყიდება. ამასთანავე, როგორც წესდებაშია მოხსენებული ამხანაგობამ უნდა იჯარით აიღოს სახელმწიფო მამულები და ზედ უნდა გააშენო ვენახები. იმ პირობით იძლევიან ამისთანა მიწებს, რომ შემდეგ გამშენებელსვე ასყიდებენ გრძელ ვადიან გადასახადით. მელიორაციულ კრედიტსაც იშოვის ამხანაგობა, თუ ითხოვს მთავრობისაგან. ამ კრედიტის ძალით ბევრი რამ საქმე გაკეთდება ჩვენში. იმისთანა საზოგადო საქმე, როგორც „ნოეს ვენახია“, მეურნეობას ერთს ნაბიჯს მაინც წაადგმევინებს წინ.

ვთხოვთ ყველას, ვისაც ცოტა-ოდნავ მაინც ესმის კახეთის ვენახის საქმე, თავიანთი მოსაზრებაც გაგვიზიაროს გაზეთით.

ი. მ.

ბი გააყოლონ ნახშირით დატვირთულს ვაგონებს.

**ავსტრია-უნგრეთი.** როგორც ხმა ისმის, ავსტრია-უნგრეთის სამხედრო სამინისტრო დიდს რეფორმას შესდგომია; ეს ა' ის ჯარის კაცის სამსახურის ვადის შემცირება. ჯარის კაცი მხოლოდ ორს წელიწადს იმსახურებს, მეტს არა.

**სამხრეთ-აფრიკა.** „Times"-ში ვკითხულობთ: იოჰანესბურგში ჩემბერლენს ბურთა წარმომადგენელნი წარუდგნენ. როცა ჩემბერლენი და ლორდი მილნერი შევიდნენ იმ დარბაზში, სადაც ბურთა მრავალი მოქალაქენი იმყოფებოდნენ, გენერალ ბოტას უბრძანებია: „მოქალაქენო, ადექით!" მართლაც ყველა ერთბაშად წამომდგარა. როცა, მცირე ხანის შემდეგ ჩემბერლენსა და მილნერს დარბაზიდგან გასვლა დაუპირებიათ, გენერალ ბოტას ხელ-ახლა უბრძანებია: „ტაში დაუკარითო", რომლის ბრძანებაც სავსებით შეუსრულებიათ მოქალაქეთ". ესეც პატივისცემაა რადა!

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი

**„იაკობელები" დრამა ფ. კოპპესი, თარგმ. ვ. ფიფიანისა და გ. ფიფშიძისა.**

არა ერთხელ ყოფილა შენიშნული, რომ ის პიესები, რომელშიაც, თითოეულ მომქმედ გმირთა გარდა, მონაწილეობას იღებს აგრეთვე ხალხი და რომელიც ჰსაჭიროებს კარგად მოწყობას,—ჩვენს სცენაზედ ელფერსა ჰკარგავს და ხშირად მახინჯდება ხოლმე. ამის მიზეზებიც ყოფილა წინად დასახელებული. უტანისამოსობა, ურეკვიზიტობა და სტატისტთა გაუბედავი, შეუფერებელი ტორტმანი სცენაზედ, არ ცოდნა—როდის დაჯდეს, როდის ადგეს, როდის გავიდეს და მუდმივი დაბეჩავებული გამომეტყველება სახისა, რომელიც ერთის ნახევრით სუფლიორისაკენ არის მიქცეული, მეორის ნახევრით-კი სცენარიუსისაკენ,—ყველა ეს, ერთად შეზავებული—სწამლავს საერთო შთაბეჭდილებას და მაყურებლის ილიუზიას.

ყველა ეს გარემოებანი, რადა თქმა უნდა, „იაკობელებშიაც" გამეორდა. მაგალითად, პირველ მოქმედების იმ სცენაში, როდესაც პრინც ედუარდს ალტაცებით ეგებებიან, ან როდესაც ანგუსის ცეცხლ-შეკიდებული სი... დროშის დამარხვის შესახებ,—ზარითა და ზეიმით ევლინება ფინგალელთა ხალხს—ეს ფინგალელნი ჩვენს სცენაზედ უმოძრაოდ იდგნენ ერთ ადგილას შეჯგუფულნი, და ყველას სახეზედ რაღაც „სკუკის" მაგვარი რამ გამომეტყველება იხატებოდა და როცა სათქმელი ჰქონდათ რამ,—ერთი ორი თუ წამოაყრანტალებდა რაღაც გაუგებარ სიტყვას.

რაც შეეხება კერძოდ მსახიობებს,—არ შეიძლება ითქვას, რომ მათ თავიანთი როლები ძალიან სუსტად ეთამაშნოთ.

მაგალითად ბ-ნი სვიმონიძე პრინც ედუარდის როლში პირველსა, მეორესა და მესამე მოქმედებაში კარგი იყო. დრამატიულ მომენტების დროს არ გადაუჭარბებია თამაშობით ტრიგიკულ პაფოსის გამოსახატად. სხეულის მოძრაობა ჰქონდა ზომიერი, გამოთქმა დინჯი და მარტივი. მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში მსახიობმა მოისუსტა, რადგანაც მთელი სცენა ტირილის კილოთი ლაპარაკობდა და სწორედ ეს კილო მსახიობს ვერ ეხერხება და არც უხდება.

ბ-ნი ივანიძე ლორდ ფინგალის როლში ისეთი იყო, როგორც შეეფერება ახალგაზდა და გამოუცდელს მსახიობს, რომელმაც არ იცის ამა თუ იმ მოძრაობას და ან ხმის ჰანგსა სად დაუდვას საზღვარი. მაგალითად მეოთხე მოქმედებაში, როცა ფინგალი გაიგებს ცოლის ღალატს და პრინცის მოსაკვლელად გაიწევს,—ახალგაზდა მსახიობმა ხმის აწევ-დაწევით და ჰანგთა რხევით საკმაოდ გამოიჩინა გრძნობა, ფინგალის მდგომარეობის შესაფერი, მაგრამ შთაბეჭდილება ამა გრძნობისა გააუფერულა მისმა მოუხეშავმა მოძრაობამ სხეულისამ და განსაკუთრებით-კი ნაბიჯ-ნაბიჯ ტკეპნით სიარულმა, ისე, როგორც ზოგიერთმა ოპერის მომღერალმა იცის ხოლმე. ესევე გამეორდა იმ დროს, როცა ფინგალი წარსდგება ინგლისის მხედართ წინაშე და უცხადებს თავის ვინაობას. სხეულის მძლავრ მოძრაობას ბ-ნი ივანიძე განსაკუთრებით უნდა ერიდოს, რადგანაც იგი უშველებელი ვაჟკაცია და მისი მცირედი მოძრაობაც-კი დიდად სჩანს.

ბ-ნ ივანიძის საზოგადოდ კარგს და მკაფიო დიქციას ერთი რამ ჰვნებს. ხან-და-ხან მსახიობს ჩვეულებათა აქვს ისეთი ამაღლება სიტყვის ამა თუ იმ ხმოვან ნაწილისა, რომელსაც ქართულ ლაპარაკის იერი ვერ შეიგუებს; მაგალითად სიტყვას „შეუძლებელია" ან იმის მაგვარს მსახიობი ისე ამბობს, რომ ხმოვანი ნაწილი „ბელია" მეტის მეტად ხაზგასმული გამიდის. ყველა ამის გარდა ბ-ნმა ივანიძემ სახის მოძრაობა უნდა შეიმუშაოს. ყველა ეს, რაც ჩვენ აღვნიშნეთ,—ტეხნიკის სამთავროა და ის, რასაც ღვთიური „ნაპერწკალი" ეწოდება, ივანიძეს აქვს.

ბ-ნი ვ. გამყრელიძე ძალიან მოისუსტებდა და ეს იმიტომ, რომ მის თამაშობას აღფრთოვანება აკლდა. მსახიობს ისეთი კეთილ-ხმოვანი, გრძნობა-მეტყველი ხმა აქვს, რომ მის საშუალებით გამყრელიძეს შეუძლიან ანგუსის როლის დაძლევა, მხოლოდ ხუთშაბათის წარმოდგენაში იგი ძლევა-მოსილი როდი იყო. ამასთანავე გრიმი ჰქონდა უხეირო. ბ-ნი გამყრელიძე ცოცხალ ადამიანს არა ჰგავდა და მოგვაგონებდათ იმ სურათს, რომელსაც „ნივის" პირველ ნომერში ჰხატვენ ხოლმე ძველის წელიწადის სახედ.

ქ-ნი რიონელი კარგი იყო ლენჩი-ბიჭის როლში. მისი სახის-მეტყველების ერთგვარობა, განუშორებელი ღიმილი ტუჩებზედ და კილო ლაპარაკისა სრულიად შეეფერებოდა გონება-გაფანტულ და გრძნობა-ჩლუნგ ბავშვის არსებას. მხოლოდ ხან-და-ხან მსახიობი თმებს ისე ისწორებდა და ხელს სახესთან ისე მიიტანდა ხოლმე, რომ აშკარად გეჩვენებოდათ რომ თქვენს წინაშე ქალია ვაჟურად ჩაცმული.

ქ-ნ კარგარეთელის (ლედი ფინგალ) თამაშობაში კვლავ იჩინა თავი ძველმა ნაკლულოვანებამ—დიქციის უმარტივობამ და ხელების და სხეულის გარდამეტებულმა მოძრაობამ.

ქ-ნ ლეჟავას (მარიამ) შესახებ ჩვენ წინანდელის აზრისა ვართ. იგი მოგვაგონებთ სანთლის კოშტს, რომლიდგანაც ხელოვან ოსტატს შეუძლიან ხელოვნების მარგე „წმინდა სანთელი" გამოქნას.

საერთოდ-კი ამ წარმოდგენამ საზოგადოებაზედ მოწყენილობის შთაბეჭდილება იქონია, ასე რომ ხუთშაბათის საღამოს „მთქნარების საღამო" უნდა ეწოდოს.

—

16 ამ თვეს ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოდგენა ვ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. ამ ჟამად მესხიშვილი ძალიან ავად შექმნილა და მისი საზღვარ-გარედ გამგზავრება საექიმოდ აუცილებლად საჭიროა თურმე. რადა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოება გაიხსენებს იმ მარად დაუვიწყარ წამებს გრძნობათა აღფრთოვანებისას, რომელსაც იწვევდა ნიჭიერ მსახიობის თამაში და ყოველი ჩვენგანი უწმინდეს მოვალეობად ჩასთვლის,—თავისი წვლილი მიაწოდოს დაავადებულს საზოგადო მოღვაწეს და ამით არ დაუკარგოს ქართულ ხელოვნებას საუკეთესო ჭირისუფალი.

—

**ავლაბრის სახალხო თეატრი.** ორშაბათს, 6 იანვარს, სცენის მოყვარულთა დასმა გამართა სადღესასწაულო წარმოდგენა. ითამაშეს „გატრუებული იმედი" ქ-ნ აზაისისა და „გაყრა" კომედია გ. ერისთავისა, აზთოფზით.

„გატრუებული იმედი"-ს შემდეგ, სცენაზედ გ. ერისთავის სურათის ორივე მხრივ იდგნენ ავლაბრის სცენის მოყვარულნი. ფარდის ახდისას ტაშისა და მუსიკის კვრით მიეგებნენ გ. ერისთავის სურათს.

ბ-ნმა ივანიძემ წაიკითხა ამ დღესასწაულის შესაფერი ლექსი.

შემდეგ ბ-ნმა იოსებ იმედაშვილმა ხალხს გააცნო გ. ერისთავი და მისი დრო, თეატრის მნიშვნელობა და მისი დანიშნულება, რასაც აღტაცებით და ტაშის კვრით მიეგება ხალხი. დასასრულ ამხანაგობის მხრივ ბ-ნმა გ. მჭედლიშვილმა მოკლედ გააცნო ხალხს ამხანაგობის აზრი და მოქმედების ნვრიში. ამხანაგობას დღემდე გაუმართავს შვიდი წარმოდგენა და ამ ხნის განმავლობაში უზარალოა.

—

გუშინ-წინ, 8 იანვარს, ქართულს თეატრში ქ-ნ გაშინსკაიას საბენეფისოდ უნდა წარმოედგინათ ოპერა „ოტელლო", მაგრამ იგი სხვა-და-სხვა საპატიო, თუ არა საპატიო მიზეზთა გამო გადაიდო... გადაიდო კვირა საღამოსთვის, როცა ქართულ დრამატიულ დასს წარმოდგენა უნდა გაემართა. სამწუხაროა, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ კვირა საღამო სხვას დაუთმო და მით ხალხს მოაკლო ეგ საღამო თეატრში გატარებისა. კვირა საღამოს ყველას შეუძლიან წავიდეს თეატრში, ჯერ იმიტომ, რომ ამ დღეს წარმოდგენა იაფ-ფასიანია, მეორე იმიტომ, რომ ამ დღეს თავისუფალია ყველა... დილით სიარული თეატრში ჩვენს ხალხს არ უყვარს როგორღაც. ან რა საყვარელია? ამიტომ არის ხოლმე, რომ კვირადილით თეატრი ცარიელია.

ა—ნა.

# დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

9 იანვარი.

**ჯიბუტი.** მინისტრ-პრეზიდენტი მოვიდა 7 აფიცრით და 4 ექიმით თან მოჰყვა 8 კაზაკი.

**პარიჟი.** წერილი „რუსეთი და ფინლიანდია" ცალკე ფურცლად გამოვიდა. წერილში ის აზრია გამოთქმული, რომ ფინლიანდია რამდენსამე საუკუნის განმავლობაში დიდს გაჭირვებას იტანდა შვედებისაგან, რუსეთი კი მას მოევლინა განმანთავისუფლებლადაო.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, ხმები ვითომ ინგლისი და ესპანია ერთად იმოქმედებენ მაროკკოში, უსაფუძვლოაო.

**ნიუ-იორკი.** სადგურს ჩივოკუმში მატარებელნი ერთმანეთს დაეჯახნენ. მოკვდა 12 კაცი, დაშავდა ამდენივე.

**ვენა.** „Deit. Cor." აცხადებს, უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ ავსტრია-უნგრეთის ესკადრის მოგზაურობა ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთის ნაწილში ბალკანეთის დღევანდელ საქმეთაგან იყოს გამოწვეულიო, პრაქტიკულად ნავოსნობის შესასწავლად ამნაირი მგზავრობა წინადვე იყო განზრახულიო.

**ფილიპპოპოლი.** ახალი გადაწყვეტილება ქრისტიანეთა მიღება ჟანდარმთა შორის ვერ მოჰყავთ სისრულეში უსკიუბში და ბიტოლში, რადგან ბოლგარელნი უარს აცხადებენ პოლიციელებად შესვლისას.

**ლონდონი.** ლორდი ლანსდოუნი ძლიერ გაცივდა.

**მადრიდი.** პეტუანის ჰერცოგი ავად გახდა.

**ვენეცია.** ქალაქის საბჭომ 350,000 მერი გადასდო ქალაქის ძეგლთა შესაკეთებლად. ხარჯის ერთს ნაწილს მთავრობა გადიხდის. გავრცელებული ხმები, ვითომ ქალაქის შენობანი ცუდს მდგომარეობაშია სიმართლეს მოკლებულია.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენელი კომისია კმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ საფრანგეთი არ ერეოდა ვენესუელის უკანასკნელს საქმეებში. ამ კომისიის აზრით, კარგი იქნება არმენიის საქმეებს უფრო ენერგიულად მოეკიდნენ.

**ლაგუაირა.** ლიხ-როკესში მივიდა ჰოლლანდიის კრეისერი და ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილი ჰნახა. კრეისერმა ხალხს სასმელ-საჭმელი დაუტოვა, რომელიც ხალხს 8 დღეს ეყოფა.

**კარაკასი.** კოროს შეტაკებაში მოკვდა 30 მეამბოხე, დაიჭრა 115. 10 საათის ბრძოლის შემდეგ მეამბოხეთ უკან დაიწიეს. მთავრობის ჯარში 10 კაცი მოკვდა.

10 იანვარი.

**პეტერბურგი.** 8 იანვარს გერმანიის საელჩომ გერმანიის მემკვიდრე პრინცს სადღესასწაულო სადილი გაუმართა. სადილზე მობრძანდნენ: დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე.—8 იანვარს საფრანგეთის ელჩს მარკიზ მონტებელლოს დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა და დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ ძვირფასი საჩუქარი მიართვეს, რადგანაც საფრანგეთის ელჩი სამსახურს თავს ანებებს.

8 იანვარს გერმანიის კრონპრინცი ინახულეს: ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცებმა მარიამ და ალექსანდრა თეოდორეს ასულებმა, ხელმწიფე მემკვიდრემ, დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა და მარიამ გიორგის ასულმა და დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ. ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ კრონ პრინცთან ერთად ისადილეს საზამთრო სასახლეში. კრონპრინცი კარგად არის.

**ყაზანი.** გამოვიდა პირველი ნომერი „ვოლჟსკი ლისტოკ"-ისა.

**გაგრა.** აკურთხეს გაგრის საჰავო (კლიმატიური) სადგური, რომელიც პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელის ხარჯზეა აშენებული. სადგურის კურთხევას დაესწრნენ: პრინცი, პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელისა, მინისტრი ერმოლოვი, სენატორი მესჩანინოვი. მწირველი ბრძანდებოდა სუხუმის ეპისკოპოსი არსენი. წირვის შემდეგ სადგურის ასპარეზზე აუარებელმა ხალხმა (აფხაზებმა და რუსებმა) მოიყარა თავი, რომლის წინაშეც წაკითხულ იქმნა პრინცის მიერ აქტი სადგურისა. პრინცმა დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო; ხალხი „ურას" იძახდა. მინისტრმა ერმოლოვმა პრინცის სადღეგრძელო. შუადღისას გაიმართა საუზმე და წაკითხულ იქმნა ადრესები და დეპეშები სხვა-და-სხვა პირთ და დაწესებულებათაგან. საღამოს გაიმართა სადღესასწაულო სადილი. სადგურთან მშვენივრად მოწყობილი სასტუმროა.

**პარიჟი** ვერსალის სასამართლომ გაამართლა სტუდენტი პოლონელი ნიცენგევიჩი, რომელსაც 12 სეკდემბერს დუელში შემოაკვდა ბელკევიჩი.

—

**პეტერბურგის ბირჟა,** 3 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში „ | 46,27½ |
| პარიჟში „ | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97⅝ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 99¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 94½ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 468¾ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 376 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 313 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 89¾ გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 83¼ წვ. გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89¾ წვ. გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9700 გაყ. |
| აქციები „ „ „ „ | — |
| „ კასპიის ამხანაგობისა. | 4300 გაყ. |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 48 წვ. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 202 წვ. გაყ. |

—

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) სალ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფ[ო]თიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).


# განცხადება

ქუთაისში

ს. მ. და ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, | მ. | კ. |
| ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა | 1 | „ |
| ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა | | „ 30 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა | | „ 50 |
| ბრძნული სიტყვები | | „ 10 |
| წმიდა ამო ტფილელი | | „ 30 |
| დაზარალდით ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა | | „ 10 |
| ტფილისი, მ. ჯანაშვილისა | | „ 50 |
| თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი | | „ 50 |
| ნამეენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა | | „ 5 |
| სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა | | „ 15 |
| კონსტანტინე ბარონიშვილი, თ. ხუსკივაძისა | | „ 5 |
| ზღაპრები სურათებით | 1 | „ |
| ცაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა | | „ 30 |
| „შოთა რუსთაველი" მ. ჯანაშვილისა | | „ 40 |
| Царица Тамара, მისივე | | „ 50 |
| И. Алхазова | | „ 30 |
| Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра | 3 | „ |
| Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова. | | „ 60 |
| Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина | 1 | |
| О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили | | „ 20 |
| Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе | | „ 10 |
| Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш. | 3 | „ |

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ".

(XX-й годъ изданія)

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ**

**съ доставкой и пересылкой:**

| | | | |
|---|---|---|---|
| а 12 мѣсяцевъ | 7 р. — к. | на 6 мѣсяцевъ | 4 р. — к. |
| „ 11 „ | 6 р. 50 „ | „ 5 „ | 3 „ 50 „ |
| „ 10 „ | 6 „ — „ | „ 4 „ | 3 „ — „ |
| „ 9 „ | 5 „ 50 „ | „ 3 „ | 2 „ 50 „ |
| „ 8 „ | 5 „ — „ | „ 2 „ | 2 „ — „ |
| „ 7 „ | 4 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ — „ |

За границу: па годъ 14 руб., на полгода 8 руб., ня 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородрыхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подпискб принимается не иначе, какъ считая съ 1 го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), па 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польсваго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К° къ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр.

(8—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.